# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 10 სექტემბერი, 2020 წელი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/02

**„სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის № 04-01/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და კოვიდ-19 გავრცელების გამო, რეგიონში არსებული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის № 04-01/20 დადგენილებაში და დადგენილების:

1. 1 № 1 დანართს დაემატოს შემდეგი:

„-- ხელოვნების მენეჯმენტი - 7 ადგილი;
-- აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) - 3 ადგილი.“

1.2 პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის“ (დანართი №2):

ა) I თავის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი:
**„აუდიოვიზუალური ხელოვნების (მხატვრული კინოს რეჟისურა)** სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა - კინო-ტელე ხელოვნების ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირნი, რომელთაც გავლილი აქვთ minor-პროგრამა კინო-ტელე მიმართულებით, ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა და წერითი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე (100 ქულა - საიდანაც

კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 70 ქულა; წერითი დავალება - 30 ქულა). სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა, წერითი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე და კინოს ისტორია (შეფასება - 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 60 ქულა; წერითი დავალება - 30 ქულა, კინოს ისტორია - 10 ქულა).
სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხო ენის დონის დასადგენ ტესტირებას.“

ბ) II თავის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მაგისტრანტობის კანდიდატთა განცხადებები მიიღება 2020 წლის 01 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით. გამოცდები ჩატარდება 2020 წლის 17 სექტემბრიდან 02 ოქტომბრის ჩათვლით.“

გ) II თავის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^1$ პუნქტი:

„$4^1$. კოვიდ-19 გავრცელების გამო, რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პროგრამის მოთხოვნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის დისტანციურ რეჟიმში ჩატარება.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**
**თავმჯდომარე** **მ. ჭიჭილეიშვილი**